პოლიტიკური პარტია "თავისუფალი საქართველო"
POLITICAL PARTY "FREE GEORGIA"
საქართველო, თბილისი, 0115. შ. დადიანის 4. ტელ: (995 32) 299 65 99
Georgia, Tbilisi. 0115. Sh. Dadiani str. 4. Tel: (995 32)299 65 99
Email: kkukava@hotmail.com, http://www.freegeorgia.ge

ინსტიტუციური N22 28/12/12
(ელექტრონული)

ელექტრონული საქართველო
6.12.12

2.12/12

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 150-ე მუხლის 1-ლი - მე -3 პუნქტების თანახმად, წარმოგიდგენთ საკანონმდებლო წინადადებას ,,მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებთან და დამატებებთან დაკავშირებით.

გთხოვთ, ჩვენს საკანონმდებლო წინადადებას, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 150-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად მისცეთ სათანადო მსვლელობა.

პატივისცემით,

პარტია ,,თავისუფალი საქართველოს"

თავმჯდომარე

კახა კუკავა

<u>დანართი:</u>

- ,,მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის პროექტი;

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
სავალ. № 14623
10.12 2012 წ. ფურც. 2

პროექტი

საქართველოს ორგანული კანონი

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ"

მუხლი 1. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების" შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. ძალადაკარგული იქნას 2011 წლის 28 დეკემბრის №5661 ორგანული კანონი, 2012 წლის 8 მაისის №6116 ორგანული კანონი და 2012 წლის 22 ივნისის №6551 ორგანული კანონი;

2. 26-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარის 1^1 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   „ ამ მუხლის 1-ლი პუნქტით დაწესებული აკრძალვა არ ვრცელდება უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულის სტატუსის მქონე პირებზე".

3. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 39^1-ე მუხლი:

   „ამ კანონის ამოქმედების დღიდან ბათილად ჩაითვალოს მის ამოქმედებამდე ამ კანონის საფუძველზე ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე დაკისრებული ყველა სახის ჯარიმა".

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი